# ოცდაათი წლის ქალი. გობსეკი. პოლკოვნიკი შაბერი

ონორე დე ბალზაკი

2015-03-23




**ონორე დე ბალზაკი**

**რვატომეული**
**ტომი III**
ოცდაათი წლის ქალი (რომანი). მოთხრობები

**გამომცემლობა პალიტრა L**
თბილისი, 2013
მთარგმნელები თინათინ ქიქოძე, იროდიონ ქავჟარაძე

რედაქტორი ზურაბ აბაშიძე
კორექტორები: ნანა ანტონოვა-ილურიძე, მარეხ ღარიბაშვილი
გარეკანის დიზაინი ლაშა გიორგაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

სარედაქციო ჯგუფი: ზურაბ აბაშიძე, თინათინ ასათიანი, ნატალია ახვლედიანი, მანანა ჯანელიძე
© გამომცემლობა პალიტრა L, 2013
მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
www.palitral.ge
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

# ოცდაათი წლის ქალი

## I - პირველი შეცდომები

***ვუძღვნი ლუი ბულანჟეს, მხატვარს***

1813 წლის აპრილის დამდეგს ერთი ისეთი კვირადღე გათენდა, რომელიც პარიზელებს ჰპირდებოდა, ქუჩებზე არც ტალახი იქნება და არც ცა მოიქუფრებაო. ჯერ შუადღეც არ იყო, რომ კაბრიოლეტმა, რომელშიც ორი ფიცხი ცხენიება, კასტილიონეს ქუჩიდან რივოლის ქუჩაზე გადმოუხვია და იმ ეკიპაჟების უკან გაჩერდა, რომლებიც ფეიანების მოედანზე ახლადგაკეთებულ მესერთან იყვნენ ჩამწკრივებულნი. ამ მსუბუქ ეტლს ავადმყოფური იერისა და მწუხარე სახის კაცი მართავდა. შევერცხლილი თმა, ძლივს რომ უფარავდა ჩაყვითლებულ თავს, ნაადრევად აბერებდა. კაცმა სადავე ეტლის გამყოლ ლაქიას გადაუგდო და ქვაფენილზე გადავიდა, რათა ხელით გადმოესვა სანდომიანი სახის ქალიშვილი, რომელმაც მაშინვე მიიზიდა მოედანზე უქმად მოხეტიალეთა ყურადღება. ქალიშვილმა ეტლის კიბეზე ფეხი ჩამოდგა და თავის მეგზურს მკლავები ყელზე შემოხვია, მან კი ისე ნაზად გადაიყვანა ქვაფენილზე, რომ ოდნავადაც არ დაუჭმუჭნია ქალის მწვანე რეპსის კაბის მორთულობა. შეყვარებულსაც კი გაუჭირდებოდა ესოდენ ფაქიზი მზრუნველობის გამოჩენა. უცნობი, როგორც ჩანს, ქალიშვილის მამა იყო; ქალიშვილმა მას მადლობაც არ გადაუხადა, ხელკავი გამოსდო და აჩქარებული ნაბიჯით ბაღისკენ წაიყვანა. ხანში შესულმა მამამ შეამჩნია, რაოდენ აღტაცებული თვალებით შესცქეროდნენ ქალს ახალგაზრდა მამაკაცები და სახე წამიერად გაუნათდა. გაეღიმა კიდეც, თუმცა უკვე დიდი ხანი იყო, იმ ასაკში გახლდათ, როცა ადამიანი მხოლოდ პატივმოყვარეობით მოგვრილ მოჩვენებით სიხარულს უნდა დასჯერდეს.

— ხალხს ჩემი ცოლი ჰგონიხარ, — ყურში ჩასჩურჩულა ახალგაზრდა ქალს მამაკაცმა, წელში გასწორდა და ნაბიჯი შეანელა. ქალიშვილს ეს ესიამოვნა.

კაცს ეტყობოდა, თავს იწონებდა გოგონათი და უთუოდ, მასზე მეტად უხაროდა, ცნობისმოყვარე მამაკაცები თვალს რომ არ აშორებდნენ წაბლისფერი ქსოვილის

ფეხსაცმელებით შემოსილ მის პაწია ფეხებს, ლამაზ კაბაში გამოწყობილ ლერწამივით ტანსა და მოქარგული საყელოთი ნახევრად დაფარულ ქათქათა ყელს. სწრაფი სიარულისას ქალს დროდადრო კაბა მაღლა ეწეოდა და მის ქვეშ გამჭვირვალე აბრეშუმის წინდაში ჩამოსხმული ფეხის მოყვანილობას აჩენდა. რამდენიმე გამვლელმა განზრახ წინ გადაუსწრო კიდეც წყვილს, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო წაბლისფერი კულულებით შემოვლებული ქალიშვილის სახით. მის სითეთრეს ხაზს უსვამდა ვარდისფერი აბრეშუმისგან შეკერილი კაპიუშონი, ხოლო ხიბლს ყოველ ნაკვთში დაფარული გზნება მატებდა. უწყინარი სიანცე გამოსჭვიოდა მშვენიერი ნუშისებრი შავი თვალებიდან, რომლებსაც ლამაზად მორკალული წარბები და გრძელი წამწამები ამშვენებდა. სიცოცხლე და სინორჩე იფრქვეოდა ამ თავნება გოგონას სახიდანაც და მოხდენილი სხეულიდანაც, რასაც მაშინდელი მოდის შესაბამისად მკერდქვეშ შემოჭერილი ქამარიც ვერ ჩქმალავდა. ქალიშვილი ყურადღებას არ აქცევდა მისკენ აღტაცებით მაცქერალთ და ერთგვარი შეშფოთებით გაჰყურებდა ტიუილრის სასახლეს, საითაც აშკარად მიიჩქაროდა. თორმეტს თხუთმეტი უკლდა. ადრიანი დროის მიუხედავად, ბევრი ქალბატონი, რომლებსაც საკუთარი სამოსით თავის გამოჩენა სურდათ, უკვე სასახლიდან ბრუნდებოდნენ, თან, წარამარა უკმაყოფილოდ უკან იხედებოდნენ, თითქოს გული სწყდებოდათ, რომ დაიგვიანეს სანახაობაზე, რომლით დატკბობაც ასე ეწადათ. ახალგაზრდა ქალი განსაკუთრებით ააღელვა გამოპრანჭული მანდილოსნების ნასროლმა რამდენიმე შენიშვნამ. მისი მოხუცი მამა გაფაციცებით აკვირდებოდა მოუთმენლობისა და შფოთვის ცვალებადობას შვილის მშვენიერ სახეზე, რაც ძალზე თვალში საცემი იყო და მამობრივი მზრუნველობის აშკარა ნიშანს წარმოადგენდა.

იდგა 1813 წლის მეცამეტე კვირადღე. მეორე დღეს ნაპოლეონი იმ საბედისწერო ლაშქრობაში მიდიოდა, რომლის დროსაც ერთიმეორის მიყოლებით დაკარგა ბესიერი[1] და დიუროკი[2], მოიგო ღირსსახსოვარი ბრძოლები ლუცენთან და ბაუცენთან, იწვნია ავსტრიის, საქსონიის, ბავარიისა და ბერნადოტის ღალატი და გააფთრებით იცავდა თავს ლაიფციგთან ბრძოლისას. თავად იმპერატორის სარდლობით დაგეგმილი ეს ბრწყინვალე აღლუმი უკანასკნელი უნდა ყოფილიყო იმ აღლუმებს შორის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იწვევდა როგორც პარიზელთა, ისე უცხოტომელთა აღტაცებას. ძველი გვარდია უკანასკნელად გამოდიოდა იმ ოსტატური მანევრების შესასრულებლად, რომელთა დახვეწილობა და სიზუსტე ზოგჯერ თვით იმ გოლიათსაც აოცებდა, ვინც ცოტა ხანში ევროპასთან შერკინებას აპირებდა. მორთულ-მოკაზმულ და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილ ადამიანებს ტიუილრიში სევდიანმა გრძნობამ მოუყარა თავი. თითქოს ყოველი მათგანი ჭვრეტდა მომავალს და შესაძლოა, იმასაც გრძნობდა, რომ კვლავაც ხშირად დაინახავდა გონების თვალით ამ სურათს, როცა საფრანგეთის გამარჯვებათა ხანა ლამის ლეგენდად მოგვეჩვენებოდა, როგორც ახლაა.

— ფეხს აუჩქარეთ, მამიკო, — ეუბნებოდა ახალგაზრდა ქალი და მკვირცხლად მიაქანებდა მოხუცს. — უკვე დოლების ხმა ისმის.

— ჯარი მხოლოდ ახლა შედის ტიუილრიში, — მიუგო მამამ.

— ან იქნებ უკვე გაიარა საზეიმო მარშით?! ყველა უკან ბრუნდება! — თქვა ქალმა ნაწყენი ბავშვის კილოთი, რამაც მამამისს ღიმილი მოჰგვარა.

— აღლუმი მხოლოდ პირველის ნახევარზე იწყება, — შენიშნა კაცმა, რომელიც ძლივს ეწეოდა თავის დაუდგრომელ შვილს.

რომ დაგენახათ, როგორ იქნევდა ქალიშვილი მარჯვენა ხელს, იტყოდით, ამით სირბილს იოლებსო. პატარა ხელთათმნიანი ხელი, რომელიც მოუთმენლად ჭმუჭნიდა ცხვირსახოცს, იმ ნიჩაბს წააგავდა, რომლითაც მენავე ტალღებს აპობს. მოხუცს სახეზე ხან ღიმილი გაუკრთებოდა, ხანაც სევდისა და დარდის გამომეტყველება აღებეჭდებოდა. ეს მშვენიერი არსება მას ისე უყვარდა, რომ თუ აწმყოთი ასე ტკბებოდა, მომავლის შიშიც ეუფლებოდა. თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა: «დღეს კი ბედნიერია ჩემი შვილი, მაგრამ ყოველთვის ასე ბედნიერი იქნება?» ხანდაზმულები ხომ მუდამ ცდილობენ, ახალგაზრდებს საკუთარი მწარე გამოცდილება გაუზიარონ.

როცა მამა-შვილი პავილიონის პერისტილში[3] შევიდნენ, რომელზეც სამფეროვანი დროშა ფრიალებდა და სადაც მოსეირნენი ტიუილრის ბაღსა და კარუსელის მოედანს შორის მიდი-მოდიოდნენ, მათ გუშაგთა მკაცრი შეძახილი შემოესმათ:

— შეშვება დამთავრებულია!

გოგონა ფეხის წვერებზე შედგა, მაგრამ მხოლოდ გამოპრანჭულ მანდილოსანთა ჯგუფს მოჰკრა თვალი, რომლებიც ძველი მარმარილოს თაღის ორივე მხარეს იდგნენ, რადგან იმპერატორი იქიდან უნდა გამოსულიყო.

— აი, ხომ ხედავ, მამა, დავიგვიანეთ.

მისი გაბუტული სახე მოწმობდა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ აღლუმზე დასწრებას.

— მაშ, გავბრუნდეთ, ჟიული. შენ ხომ არ გიყვარს მუჯლუგუნები.

— არა, მამა, დავრჩეთ! აქედან მაინც დავინახავ იმპერატორს. ომში რომ დაიღუპოს, მაშინ ხომ ვეღარასოდეს ვიხილავ.

მამას ტანში ჟრუანტელმა დაუარა, რადგან შენიშნა, რომ გოგონა ცრემლნარევი ხმით ლაპარაკობდა. შვილს შეხედა და მოეჩვენა, რომ მის დახრილ წამწამებზე ცრემლებმა გაიელვა, რაც არა იმდენად გულდაწყვეტით იყო გამოწვეული, რამდენადაც იმ პირველი ცხოვრებისეული განცდებით, რომლის საიდუმლო მოხუცი მამისთვის ადვილი გამოსაცნობია. უეცრად ჟიული აწრიალდა და ისეთი წამოძახილი აღმოხდა, რომლის მნიშვნელობას ვერც გუშაგები მიხვდნენ და ვერც მამამისი. ამ შეძახილზე ოფიცერი, რომელიც სასახლის კიბისკენ გარბოდა, მკვეთრად მოტრიალდა, მერე თაღისკენ წამოვიდა, იცნო ახალგაზრდა ქალი, რომელიც წამიერად გრენადერთა ქუდებმა დაფარა და უცებ, მამა-შვილის სასარგებლოდ შეცვალა ბრძანება, რომელიც ცოტა ხნის წინ თავადვე გასცა. მერე ისე, რომ ყური არ ათხოვა შემოსასვლელს მოწოლილი გამოპრანჭული ხალხის უკმაყოფილო ბუტბუტს, აღტაცებული ქალიშვილი ნაზად თავისკენ მიიზიდა.

— ახლა აღარ მიკვირს, ჟიული ასე რატომ ღელავდა და ჩქარობდა — თურმე დღეს შენ მორიგეობ, — უთხრა მოხუცმა ოფიცერს ხუმრობანარევი სერიოზულობით.

— მესიე, — მიუგო ახალგაზრდა კაცმა, — თუ მოხერხებულ ადგილას მოხვედრა გნებავთ, საუბარზე დროს ნუღარ დავკარგავთ. იმპერატორს ლოდინი არ უყვარს; მარშალმა დამავალა ვაცნობო, რომ ყველაფერი მზადაა.

საუბრისას მან შინაურულად მოჰკიდა ხელი ჟიულის და ჩქარი ნაბიჯით კარუსელის